




მომხმარებლის სახელმძღვანელო  
ვერიფონ **Vx680** ფისკალური  
მოდულით

**შინაარსი**

1	შესავალი .....	3
1.1	ელემენტების განლაგება .....	3
1.2	კომპლექტაციის შემადგენლობა:.....	3
1.3	ტერმინალის ჩართვა და გამორთვა .....	3
1.4	მთავარი მენიუ .....	4
1.5	კვების წყაროსთან მიერთება .....	4
1.6	ქაღალდის შეცვლა.....	4
1.7	მოლოდინის რეჟიმი .....	5
1.8	ტერმინალის (კლავიატურის) დაბლოკვა .....	5
1.9	ნაღდი ანგარიშსწორების ბლოკირების რეჟიმი .....	6
2	ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ოპერაციები .....	7
2.1	ნაღდი ანგარიშსწორება .....	7
2.2	დღის დახურვა (Z-ანგარიში) .....	7
2.3	ბოლო ქვითრის ასლი.....	8
2.4	ასლი ქვითრის ნომრის მიხედვით (ქვითარი ნომრით).....	8
2.5	თანხის დაბრუნება.....	8
2.6	მოკლე ანგარიში .....	8
2.7	სრული ანგარიში .....	9
2.8	ანგარიშები თარიღის მიხედვით .....	9
2.9	SAM მოდულის ინფორმაცია.....	9
3	უნაღლო ანგარიშსწორება .....	10
3.1	გადახდა.....	10
3.2	გაუქმება.....	10
3.3	უნაღლო დღის დახურვა (შედეგების შედარება) .....	11
3.4	უნაღლო ანგარიშები (მოკლე და სრული) .....	11
3.5	უნაღლო ქვითრების ასლი.....	11
4	შეცდომის კოდები .....	12
4.1	საერთო შეცდომები .....	12
4.2	SAM მოდულის მიერ დაბრუნებული შეცდომის კოდები .....	13
4.3	შემოსავლების სამსახურის სერვერის მიერ დაბრუნებული შეცდომის კოდები.....	14

# 1 შესავალი


## 1.1 ელემენტების განლაგება




## 1.2 კომპლექტაციის შემადგენლობა:

- დამტენი მოწყობილობა
- კვების კაბელი
- აკუმულატორი
- თერმული ქაღალდი

## 1.3 ტერმინალის ჩართვა და გამორთვა

ტერმინალის ჩართვისათვის საჭიროა, დააჭიროთ მწვანე ლილავს  5 წამის განმავლობაში, სანამ არ გამოჩნდება წარწერა "...Loading...".

ტერმინალის გამორთვისათვის საჭიროა, დააჭიროთ წითელ ლილავს  5 წამის განმავლობაში, სანამ არ გამოჩნდება წარწერა "Powering down".

### 1.4 მთავარი მენიუ

ტერმინალის მენიუს გამოიძახებთ **#** ღილაკზე დაჭერით.

ტერმინალის მენიუში მოძრაობის ღილაკებია **\*.??** და **#**

ტერმინალის მენიუში არსებული ქვე-მენიუ აქტიურდება გასწვრივ მდებარე ციფრის კლავიატურაზე აკრეფით

### 1.5 კვების წყაროსთან მიერთება

შეაერთეთ ღენის კაბელი კვების ბლოკთან, შემდგომ კვების ბლოკიდან გამოშვალ კაბელს მიაბით გადამყვანი და მიაერთეთ ტერმინალის ქვედა მარცხენა კონექტორს.

**მუშაობის პროცესში აკუმულატორის მოხსნა დაუშვებელია**


**აპარატის გახსნა ან ნებისმიერი სახით მისი მთლიანობის (ლუქების) დარღვევა აკრძალულია.**



### 1.6 ქაღალდის შეცვლა




გადაატრიალეთ ტერმინალი უკრანით ქვემოთ, მოქაჩეთ ხუფის ღილაკი ზემოთ, ჩადეთ ქაღალდის ახალი შეკვრა დიამეტრით 38 მმ და დახურეთ ხუფი.


**ტერმინალში ქაღალდის ღენტის არსებობა არის მოლარის ვალდებულება.**




### 1.7 მოლოდინის რეჟიმი



ტერმინალის ჩატვირთვის შემდეგ, ეკრანზე უნდა გაჩნდეს წარწერა «გადახდა». ამის შემდგომ შეგიძლიათ დაიწყოთ მუშაობა.


ტერმინალის მთავარ მენიუში შესასვლელად დააჭირეთ . ნავიგაციისათვის მთავარ მენიუში გამოიყენეთ ღილაკი  – .

როგორც უნაღდო, ასევე ბარათით ანგარიშსწორების დროს, დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» . დეტალური ინფორმაცია იხილეთ «ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ოპერაცია».




### 1.8 ტერმინალის (კლავიატურის) დაბლოკვა

1. ტერმინალის კლავიატურის დაბლოკვის შემთხვევაში დააჭირეთ ღილაკს «შეყვანა» 
2. აირჩიეთ „Cashier“, დააჭირეთ ღილაკს 
3. შეიყვანეთ პაროლი „0000“



## 1.9 ნაღდი ანგარიშსწორების ბლოკირების რეჟიმი














ტერმინალი შეიძლება გადავიდეს ბლოკირების რეჟიმში ტექნიკური ხარვეზის გამო. ამ შემთხვევაში ეკრანზე გამოისახება წარწერა “ნაღდი ანგარიშსწორება შეზღუდულია” და ოპერაციების შესრულება «ნაღდი ანგარიშსწორება» ან «თანხის დაბრუნება» შეუძლებელია. გთხოვთ დაუკავშირდეთ ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფს, რომელიც მითითებულია ინსტრუქციაში.



## 2 ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ოპერაციები

### 2.1 ნაღდი ანგარიშსწორება

ნაღდით გადახდა მოლოდინის რეჟიმში:

1. დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» .
2. აირჩიეთ «ნაღდი ანგარიშსწორება» .
3. შეიყვანეთ თანხა ღილაკის საშუალებით. შეცდომის შემთხვევაში დააჭირეთ ყვითელ ღილაკს «წაშლა» . თანხის შეყვანის შემდეგ დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» .
4. შეიყვანეთ პროდუქციის ღირებულება, დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» , შემდეგ დააჭირეთ ყვითელ ღილაკს «წაშლა» , შეიყვანეთ მყიდველის მიერ მოცემული თანხის რაოდენობა და დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» . საწყისად მიღებულ თანხის ველში მითითებულია გადასახდელი თანხა. თანხის კორექტირებისათვის დააჭირეთ ყვითელ ღილაკს «წაშლა»  (შლის მთლიანი თანხის ოდენობას).  
კორექტირებული თანხის შეყვანის შემდეგ, დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» .
5. ტერმინალის ეკრანზე გამოჩნდება ინფორმაცია: გადასახდელი თანხა, მიღებული თანხა და ხურდა.  
თუ ეს მონაცემები სწორია, დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» .
6. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას და გადაეცით მყიდველს.  
თუ დაბეჭდვის დროს დამთავრდა ქაღალდი, შეასრულეთ ოპერაცია «ბოლო ქვითრის ასლი»  +  + 

**შეტყობინება „ოპერაცია დასრულდა წარმატებით“ ნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ბეჭდვისას ქაღალდის დამთავრების შემთხვევაში, ოპერაცია დასრულებულია.**




დასაზუსტებლად შეგიძლიათ დაბეჭდოთ ბოლო ქვითრის ასლი.

**ტერმინალში ქაღალდის ლენტის არსებობა არის მოლარის ვალდებულება.**




ბლოკირების რეჟიმში ნაღდი ანგარიშსწორება მიუწვდომელია.

### 2.2 დღის დახურვა (Z-ანგარიში)

დღის ბოლოს ოპერატორი ვალდებულია დაბეჭდოს Z-ანგარიში, ამისათვის საჭიროა შემდეგი:




1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ .
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ .
3. აირჩიეთ პუნქტი „დღის დახურვა“ დააჭირეთ .
4. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას. თუ დაბეჭდვის დროს დამთავრდა ქაღალდი, შედით მთავარ მენიუში და შეასრულეთ ოპერაცია „ანგარიშები თარიღის მიხედვით“

### 2.3 ბოლო ქვითრის ასლი

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „ბოლო ქვითრის ასლი“ დააჭირეთ 
4. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას.

ყურადღება! ქვითრის ასლის ბეჭდვისას არ იბეჭდება მიღებული თანხის და ხურდის ჯამი.





### 2.4 ასლი ქვითრის ნომრის მიხედვით (ქვითარი ნომრით)

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „ქვითარი ნომრით“ დააჭირეთ 
4. შეიყვანეთ ქვითრის ნომერი, რომლის ასლის დაბეჭდვა გესაჭიროებათ.
5. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას.

ყურადღება! ქვითრის ასლის ბეჭდვისას არ იბეჭდება მიღებული თანხის და ხურდის ჯამი.

### 2.5 თანხის დაბრუნება

შეცდომით ამობეჭდილი ჩეკის კორექტირება.

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „თანხის დაბრუნება“ დააჭირეთ 
4. შეიყვანეთ ნაღდი ფულის ჯამი და დააჭირეთ მწვანე ღილაკს «შეყვანა» .
5. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას.

**შეტყობინება „ოპერაცია დასრულდა წარმატებით“ ნიშნავს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ბეჭდვისას ქაღალდის დამთავრების შემთხვევაში, ოპერაცია დასრულებულია.**

დასაზუსტებლად შეგიძლიათ დაბეჭდოთ ბოლო ქვითრის ასლი.




**ტერმინალში ქაღალდის ლენტის არსებობა არის მოლარის ვალდებულება.**

**თანხის დაბრუნების ან/და არაკორექტულად ამორტყმული თანხის დროს აუცილებელია შედგეს აქტი და დაერთოს ჩეკის ასლი. ასევე შესაძლებელია [www.rs.ge](http://www.rs.ge)-ზე პირად კაბინეტში, განცხადებებში, შეივსოს ფორმა „საკონტროლო სალარო აპარატის ჩეკის კორექტირება“ და აიტვირთოს ჩეკის ასლი.**

### 2.6 მოკლე ანგარიში

პუნქტის არჩევისას «მოკლე ანგარიში» ფისკალური ოპერაციების მენიუდან ტერმინალი ბეჭდავს შესრულებული სამუშაოს შედეგის მოკლე ანგარიშს. ანგარიში შეიცავს ჯამურ შედეგს ოპერაციების შესახებ «ნაღდი ანგარიშსწორება» და «თანხის დაბრუნება»






1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „მოკლე ანგარიში“ დააჭირეთ 
4. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას.

## 2.7 სრული ანგარიში




პუნქტის არჩევისას «სრული ანგარიში» ფისკალური ოპერაციების მენიუდან ტერმინალი ბეჭდავს ინფორმაციას თითოეული ნაღდი ოპერაციის მონაცემებს: თარიღი და გატარების დრო, თანხა, ქვითრის ნომერი, ოპერაციის ტიპი, ასევე საერთო შედეგს ამ ტიპის ოპერაციებზე.

პუნქტის არჩევისას «მოკლე ანგარიში» ფისკალური ოპერაციების მენიუდან ტერმინალი ბეჭდავს მოკლე ანგარიშს შესრულებული ოპერაციების შედეგებზე. ანგარიში შეიცავს ჯამურ მონაცემებს ოპერაციების შესახებ «ნაღდი ანგარიშსწორება» და «თანხის დაბრუნება»

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „სრული ანგარიში“ დააჭირეთ 
4. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას.




## 2.8 ანგარიშები თარიღის მიხედვით

მოცემული ოპერაცია საშუალებას იძლევა დაბეჭდოთ ტერმინალზე შესრულებული ნებისმიერი Z-ანგარიშის ასლი.

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი “სალარო”, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „ანგარიშები თარიღის მიხედვით“ დააჭირეთ 
4. შეიყვანეთ თარიღი, რომლის Z-ანგარიშის დაბეჭდვა გსურთ ფორმატით დდ.თთ.წწ., მაგალითად, «27.12.2017»
5. თუ მაგ დღეს Z- ანგარიში შესრულდა რამდენიმეჯერ, ტერმინალის მენიუში გამოჩნდება Z- ანგარიშები ნომრებით. სიიდან აირჩიეთ საჭირო Z- ანგარიში, ღილაკის დაჭერის მეშვეობით (0) – (9).
6. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდვას.

## 2.9 SAM მოდულის ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია SAM-ის მუშაობის და სტატუსის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ, ბრძანების მიღებით «SAM-ის ინფორმაცია»:

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ 
2. აირჩიეთ პუნქტი „სალარო“, დააჭირეთ 
3. აირჩიეთ პუნქტი „SAM-ის ინფორმაცია“ დააჭირეთ 
4. ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამოჩნდება ეკრანზე.





### 3 უნაღდო ანგარიშსწორება

#### 3.1 გადახდა

**მაგნიტურზოლიანი ბარათი** ჩამოატარეთ მაგნიტური ბარათების წამკითხავ ღარში მაგნიტური ზოლით ქვევით.







**ჩიპური ბარათის** შემთხვევაში ჩიპით წინ შეაცურეთ ჩიპური ბარათის წამკითხველის ქრილში.

**უკონტაქტო ბარათით** გადახდისას ბარათი უნდა დავადოთ ტერმინალის ეკრანს.

1. დააჭირეთ მწვანე ღილაკს .
2. აირჩიეთ «ბარათით გადახდა» .
3. შეიყვანეთ თანხა. დააჭირეთ .
4. გაატარეთ ბარათი, ეკრანზე დადებით, ჩიპურ წამკითხველში მოთავსებით ან მაგნიტური ზოლით ქრილში გატარებით.  
პინ-კოდის მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტმა უნდა შეიყვანოს პინ კოდი და დაადასტუროთ მწვანე ღილაკით.
5. წარმატებული გადახდის შემთხვევაში ტერმინალიდან ამოიბეჭდება 2 ქვითარი.
6. მოახიეთ ქვითარი და გადაეცით მყიდველს.
7. ხელმეორედ დააჭირეთ  და ამოვა მოლარეს ქვითარი.

გადახდა წარმატებით შესრულდა თუ ქვითარზე აწერია **დადასტურებულია**.  
უარყოფითი ოპერაციის შემთხვევაში ტერმინალიდან ამოიბეჭდება მხოლოდ ერთი ქვითარი.

#### 3.2 გაუქმება

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ ღილაკს .
2. „აირჩიეთ ოპერაცია“, დააჭირეთ .
3. აირჩიეთ „გაუქმება“, დააჭირეთ .
4. დააჭირეთ მწვანე ღილაკს .
5. შეიყვანეთ ჩეკის ნომერი
6. გაატარეთ ბარათი, ეკრანზე დადებით, ჩიპურ წამკითხველში მოთავსებით ან მაგნიტური ზოლით ქრილში გატარებით.
7. დაადასტურეთ გასაუქმებელი თანხა, დააჭირეთ .
8. დაელოდეთ ქვითრის დაბეჭდას.
9. მოახიეთ ქვითარი და გადაეცით მყიდველს.
10. ხელმეორედ დააჭირეთ  და ამოვა მოლარეს ქვითარი.

გაუქმება წარმატებით შესრულდა თუ ქვითარზე აწერია **დადასტურებულია**.

### 3.3 უნაღლო დღის დახურვა (შედეგების შედარება)

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ ღილაკს **#**
2. აირჩიეთ „სერვისი“, დააჭირეთ **5<sup>OKL</sup>**
3. აირჩიეთ „შედეგების შედარება“, დააჭირეთ **1<sup>OZ</sup>**

უნაღლო დღის დახურვის გაგზავნისას ხდება ინფორმაციის გაცვლა ტერმინალსა და საპროცესინგო ცენტრს შორის.

ტერმინალი ავტომატურად აგზავნის ბანკში ჩატარებული ტრანზაქციების შესახებ ჯამურ ინფორმაციას 24 საათის განმავლობაში ერთხელ, წინასწარ დაპროგრამებულ დროს. უნაღლო დღის დახურვის გაგზავნა შესაძლებელია ხელითაც.

თუ რაიმე მიზეზით ტერმინალი გამორთული იყო ბოლო უნაღლო დღის დახურვიდან 24 საათზე მეტი ხნის განმავლობაში, მორიგი გადახდის ოპერაციის შესრულებამდე აუცილებლად უნდა გაატაროს "შედეგების შედარება" (უნაღლო დღის დახურვა) და მხოლოდ შემდეგ შეასრულოთ უნაღლო გადახდის ოპერაცია.

უნაღლო დღის დახურვის ქვითრის ასლი (იხ. პუნქტი „უნაღლო ქვითრების ასლი“) ინახება მომდევნო უნაღლო დღის დახურვამდე. უმჯობესია, თუ ყოველი სამუშაო დღის ან ცვლის დასრულების შემდეგ დღის დახურვის და გადახდის ქვითრებს ერთად შეინახავთ.

### 3.4 უნაღლო ანგარიშები (მოკლე და სრული)

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ ღილაკს **#**
2. აირჩიეთ „ანგარიშები“, დააჭირეთ **4<sup>GRH</sup>**
3. აირჩიეთ „მოკლე“ **1<sup>OZ</sup>** ან „სრული“ **2<sup>ABC</sup>** ანგარიშის ბეჭდვა

### 3.5 უნაღლო ქვითრების ასლი

1. შედით მთავარ მენიუში, დააჭირეთ ღილაკს **#**
2. აირჩიეთ „ჩეკის ასლი“, დააჭირეთ **3<sup>OFE</sup>**
3. თუ გსურთ დაბეჭდოთ ბოლო უნაღლო ქვითრის ასლი, დააჭირეთ ღილაკს **1<sup>OZ</sup>**.  
თუ გსურთ დაბეჭდოთ ქვითარი ნომრის მიხედვით, დააჭირეთ ღილაკს **2<sup>ABC</sup>**.  
თუ გსურთ დაბეჭდოთ ბოლო უნაღლო დღის დახურვის ასლი, დააჭირეთ ღილაკს **3<sup>OFE</sup>**.

## 4 შეცდომის კოდები

ძირითადად აპარატი შეცდომას აჩვენებს უკრანზე წინადადების სახით. გამონაკლის შემთხვევაში აპარატმა შეცდომა შეიძლება აჩვენოს კოდური სახით.

ამ სიაში წარმოდგენილი ინფორმაცია აღწერილია მხოლოდ დიაგნოსტიკისათვის.

### 4.1 საერთო შეცდომები

- 42002 - სერვერზე გადაგზავნის შეცდომა
- 42003 - სერვერიდან მიღების შეცდომა
- 42004 - შეტყობინება მიღებულია არასწორი ფორმატით
- 42005 - ფაილის ჩაწერის შეცდომა
- 42006 - ფაილის წაკითხვის შეცდომა
- 42007 - ვალუტის არჩევის შეცდომა
- 42008 - შეცდომა ქვითრის შაბლონში
- 42009 - ქვითრის შაბლონის არასწორი ფორმატი
- 42010 - შეცდომა ქვითრის შაბლონში
- 42012 - არასწორი სიგრძის პასუხი
- 42013 - უცნობი SAM-ის შეცდომის კოდი
- 42014 - უცნობი შეცდომის კოდი RS-სერვერიდან
- 42015 - ოპერაციის ამოსარჩევად არ არის მონაცემები
- 42016 - არასწორი არგუმენტი
- 42018 - ჩანაწერის არასწორი ფორმატი
- 42021 - ბაზაში დაფიქსირებული თარიღი/დრო რეალურზე მეტია
- 42023 - ველი ვერ მოიძებნა CTX-ში
- 42024 - ოპერაცია აკრძალულია მიმდინარე ქვე-რეჟიმში
- 42025 - ტერმინალი დაბლოკილია
- 42026 - პრინტერში არ არის ქაღალდი
- 42027 - სერვისის არასწორი პაროლი
- 42028 - უცნობი თვლადის მნიშვნელობა
- 42029 - პრინტერის შაბლონის დამუშავების შეცდომა
- 42030 - ფ/მეხს. არ მოიძებნა

- 42031 - ასლის გასაკეთებლად არ არის მონაცემები
- 42032 - ფისკალური ფუნქციები დაბლოკილია
- 42033 - საჭიროა SAM მოდულის აქტივაცია

## 4.2 SAM მოდულის მიერ დაბრუნებული შეცდომის კოდები

- 42100 - არასწორი მთვლელის ინდექსი
- 42101 - არასწორი ხელმოწერა
- 42102 - არასწორი Z ანგარიშის იდენტიფიკატორი
- 42103 - არასწორი ბარათის ნომერი
- 42104 - Z ანგარიში ღიაა
- 42105 - ბარათი არ არის ინიციალიზირებული
- 42106 - Z ანგარიშების რეგისტრაცია სავალდებულოა
- 42107 - Z ანგარიშების რაოდენობა დაშვებულზე მეტია
- 42108 - სისტემის შიდა შეცდომა
- 42109 - არასწორი ტრანზაქციის იდენტიფიკატორი
- 42110 - არასწორი თანხა
- 42111 - არასწორი დღე
- 42112 - გლობალური მთვლელი გადაივსო
- 42113 - Z ანგარიშის მაქსიმალური დასაშვები თანხა გადაჭარბებულია
- 42114 - Z ანგარიშში დაშვებული ტრანზაქციების რაოდენობა გადაჭარბებულია
- 42115 - არასწორი სერვერის ბრძანების კოდი
- 42116 - ბარათი არ არის აქტივირებული
- 42117 - ბარათი არ არის დეაქტივირებული

### 4.3 შემოსავლების სამსახურის სერვერის მიერ დაბრუნებული შეცდომის კოდები

- 42200 - უცნობი ბრძანება
- 42201 - უცნობი ფისკალური მოდულის იდენტიფიკატორი
- 42202 - ფისკალური მოდული დეაქტივირებულია
- 42203 - სისტემის ინტერნალური შეცდომა
- 42204 - არასწორი ხელმოწერა
- 42205 - Z ანგარიში დახურული არაა (დია Z ანგარიშის სერვერზე რეგისტრაციის მცდელობა)
- 42206 - Z ანგარიში უნდა დაიხუროს (ბარათზე არსებობს ადრინდელი დაურეგისტრირებელი Z ანგარიში)
- 42207 - ბარათის ჩამოყრა აკრძალულია (არასატესტო ბარათზე)
- 42208 - პარამეტრები დაყენებული არაა (არაა რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურში)
- 42209 - Z ანგარიშის და ტრანზაქციების მონაცემები არ ემთხვევა